ახალი ხარაგაული

292 (19) 6 ივლისი, 2015 წ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ცხელი ხაზის სერვისი ამოქმედდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ცხელი ხაზის სერვისი ამოქმედდა. ცხელი ხაზის მეშვეობით მოსახლეობას საშუალება ექნება, პერმანენტულად ისარგებლოს ამ მომსახურებით და მათთვის საინტერესო თემებზე მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია. დამზადდა საინფორმაციო ბანერები, რომლებიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსდა. ბანერებზე ცხელი ხაზის ნომერია მითითებული.

0433-223-225 ეს არის ცხელი ხაზის ნომერი, რომელზედაც დარეკვა შეგეძლებათ ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

სალომე ჯვიჩიჯაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით პოლონეთში მიემგზავრება

9 ივლისს სალომე კვირიკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით პოლონეთში მიემგზავრება. აღნიშნული პროექტი იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ქუთაისში პოლონური დიასპორის მხარდაჭერით ხორციელდება.

სალომე კვირიკაშვილი ,,იმერეთის ხმა-2015-ის" გამარჯვებული და გრან-პრის მფლობელია. მას არაერთ კონკურსსა და ფესტივალში აქვს მონაწილეობა მიღებული. სალომემ სულ ახლახან ,,მომავლის ვარსკვლავის" ტიტულიც მოიპოვა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სალომე კვირიკაშვილი ფულადი ჯილდოს სახით 1000 ლარს მიიღებს. „ადგილობრივი ხელისუფლება სალომეს ყოველთვის გვერდში დაუდგება და შესაძლებლობების ფარგლებში დააფინანსებს მის საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობას. ხარაგაულში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელთა მიმართაც მუნიციპალიტეტი ასევე ყოველთვის გამოხატავს მხარდაჭერას. ჩვენი რაიონი უნდა წარმოჩნდეს იმ ნიჭიერებითა და შესაძლებლობებით, რომლებიც მას გააჩნია" - განაცხადა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა.

სალომე და მისი ოჯახის წევრები აღნიშნული ფაქტით ძალიან გახარებულები არიან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მადლობას უხდიან.

მურმან კვირიკაშვილი(სალომე კვრიკაშვილის მამა): სალომეს წარმატებებში დიდი წვლილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიუძღვის. სწორედ მათი ფინანსური მხარდაჭერით სალომე სხვადასხვა ფესტივალში იღებს მონაწილეობას. დიდი მადლობა მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს, კულტურის სამსახურს, სამუსიკო სკოლას და კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას, რომელიც სალომეს ვოკალის პედაგოგია.

სალომე კვირიკაშვილი პოლონეთში 9 ივლისს გაემგზავრება და 29 ივლისს დაბრუნდება. მნიშვნელოვანია ასევე, რომ აგვისტოს თვეში, სალომე კვირიკაშვილი თურქეთში, ქალაქ მარმარისში, საერთაშორისო ფესტივალზე მიემგზავრება და ამ ვიზიტსაც გამგეობა სრულად დააფინანსებს. ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მადლიერება გამოხატა ასევე სამუსიკო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ლალი ალექსიძემ: „ბატონ კობა ლურსმანაშვილის დიდი დამსახურებაა ის, რომ სალომე თურქეთში, ქ. მარმარისში, საერთაშორისო ფესტივალზე მიემგზავრება. წარმატებებს ვუსურვებ სალომეს და იმედს გამოვთქვამ, რომ, როგორც სხვა ფესტივალებიდან, ასევე მარმარისის ფესტივალიდანაც წარმატებული და გამარჯვებული დაბრუნდება."

ა(ა)იპ „სათნოების სახლის" დირექტორად გიორგი ჩიჩილიძე დაინიშნა

გიორგი ჩიჩილიძე ხარაგაულელია. იგი 1979 წლის 23 ნოემბერს დაიბადა. სწავლა 1986 წელს ხარაგაულის N1 საშუალო სკოლაში დაიწყო და 1996 წელს ქ. თბილისის N173 საჯარო სკოლაში განაგრძო, რომელიც 1997 წელს დაამთავრა. 2000-2003 წლებში მუშაობდა შპს „ტრანსვეიზში" ტექნიკურ მენეჯერად. 2005-2007 წლებში - „ყაზტრანსგაზ" თბილისის ოფისში წამყვან ტექნიკოსად. 2010-2012 წლებში შპს „ელიტა ბურჯის" თანამშრომელი გახლდათ. გიორგი ჩიჩილიძეს მიღებული აქვს განათლება სამედიცინო და ეკონომიკური მიმართულებით. მან წარმატებით ჩააბარა საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო გამოცდები. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ა(ა)იპ „სათნოების სახლის" თანამშრომლებს, ახალი დირექტორი მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა 2 ივლისს წარუდგინა. ბატონმა კობამ გიორგი ჩიჩილიძეს წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ მასზე დაკისრებულ საქმეს პასუხისმგებლობით მოეკიდება.

,,ძალზე საპასუხისმგებლო სფეროა. ვაპირებ, მთელი შემართებით ვიმუშაო. არ დავიშურებ ძალასა და შესაძლებლობებს, კმაყოფილი იყვნენ ბენეფიციარებიც და თანამშრომლებიც. მომავალში სოცილაური მიმართულებით რიგი პროექტების განხორციელება შეიძლება. ვიფიქრებ ამაზე. როცა სამსახურში არსებულ მდგომარეობას უკეთ გავეცნობი სამომავლო გეგმებზე შემდეგ უფრო დაწვრილებით შეიძლება საუბარი"-აღნიშნა ჩვენთან საუბარში გიორგი ჩიჩილიძემ.

ბიუროს სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს

2 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N 53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ იმსჯელეს. საბიუჯეტო ცვლილება სახაზინო-საბიუჯეტო დაგეგმარების განყოფილების უფროსმა ნინო მაღლაკელიძემ წარმოადგინა. მოხსენებითი ბარათის თანახმად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 2 545 191 ლარი ტენდერებიდან დაზოგილი თანხით 232 185 ლარით შემცირდა და ამ ეტაპზე 2 313 006 ლარით განისაზღვრა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა პროექტების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრა:

კიცხი-ხიდრის გზის რეაბილიტაცია 683 698 ლარი;

ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია 642 357 ლარი;

ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოსთვის და მის მიმდებარე ქუჩებზე (დევდარიანის, გურამიშვილის, ჭიპაშვილის) წყალმომარაგების სისტემის მოწყობა – 199 947 ლარი;

ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება – 38 791 ლარი;

საკითხთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, დააყენა წინადადება, რომ თუ ტენდერების შედეგად დაზოგილი თანხების გამოყენების შესაძლებლობა მუნიციპალიტეტს ისევ მიეცემა, გარკვეული თანხა მოხმარდეს ბაზალეთის ცენტრალური გზის იმ მონაკვეთის მოასფალტებას, რომელზეც საპროექტო დოკუმენტაცია უკვე შედგენილია და სამუშაოების შესასრულებლად თანხა საკმარისი არაა. შეგახსენებთ, რომ ბაზალეთის ცენტრალური გზის მოასფალტება მიმდინარეობს, თუმცა ვარლამ ჭიპაშვილი დამატებით კიდევ 900 მეტრის მოასფალტებას ითხოვს,რომლის განხორციელების შემთხვევაში სოფელში ცენტრალური გზა მთლიანად მოასფალტებული იქნება.

ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, სოფლის მოსახლეობის სახელით ამ საკითხზე მხარდაჭერა დეპუტატებს სთხოვა.

თუმცა საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნულთან დაკავშირებით მსჯელობა არ ისურვა.

იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, მიხეილ გელაშვილმა, სოფელ ნადაბურში სპორტული მოედნის დასრულებისათვის დამატებითი თანხები მოითხოვა. მისივე ინფორმაციით, ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის" ფარგლებში სპორტული მოედნის მოსაწყობად 6000 ლარი გამოიყო, რომელიც მისი დასრულებისათვის საკმარისი არ არის. ნადაბურის მაჟორიტარი დეპუტატის თქმით, ასევე აუცილებელია ნადაბურის ადმინისტრაციულ შენობაში ამბულატორიისთვის გარემონტდეს ერთი ოთახი, რათა მოსახლეობამ სამედიცინო მომსახურებით ისარგებლოს.

გარდა ამისა, ბიუროს სხდომაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მომავლისათვის" დამფუძნებელმა ხათუნა მანჯავიძემ, ხარაგაულში მიმდინარე „პოლიეთილენი, დიოქსინ-ფურანების წარმოშობის წყარო და მასთან ბრძოლა საზოგადოების მხარდაჭერით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში" პროექტის გაგრძელებაზე ისაუბრა. ხათუნა მანჯავიძემ ადგილობრივი ხელისუფლებისგან ფინანსური მხარდაჭერა ითხოვა.

მისი თქმით, წელიწადში 5 000 ლარია საჭირო, რომ სოფლებიდან პოლიეთილენის ბოთლების გამოსატანად, „ხარაგაულდასუფთავებას" საწვავის ხარჯი ავუნაზღაუროთ.

დეპუტატებმა პროექტის გაგრძლების აუცილებლობა დადებითად შეაფასეს. მათი თქმით, ეს ხარაგაულისათვის საჭირო პროექტია და ისინი მზად არიან, მხარი დაუჭირონ აღნიშნული პროექტის დაფინანსებას. საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, კი პროექტის კოორდინატორს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის წარდგენა მოსთხოვა, რომელშიც დეტალურად იქნება დასაბუთებული, რაში დაიხარჯება 5 000 ლარი.

მუნიციპალიტეტის გამგეობა თამარ ჩერქეზიშვილის ოჯახს 500 ლარით დაეხმარა

რამდენიმე დღის წინ ხარაგაულელმა თამარ ჩერქეზიშვილმა მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს, ერთჯერადი სოციალური დახმარების თხოვნით მიმართა. ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" წარმომადგენლები თამარ ჩერქეზიშვილის ოჯახს ესტუმრნენ და მის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ. როგორც ქალბატონმა თამარმა, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მას ეკონომიურად ძალიან უჭირს და მიმდინარე შემოწმებების შედეგად სოციალური დახმარებაც შეჩერებული აქვს. მისივე თქმით, ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომელზეც მან მუნიციპალიტეტის გამგებელს თხოვნით მიმართა, საკვები პროდუქტების შესაძენად ესაჭიროებოდა.

ჩართულობის ცენტრმა შუამდგომლობა გაუწია თამარის ოჯახს, გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურთან. მდგომარეობის სიმძიმის გამო სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე, მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის წევრებმა იმსჯელეს და თამარ ჩერქეზიშვილის განცხადებაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს. ოჯახს მუნიციპალიტეტის გამგეობა 500 ლარით დაეხმარა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

თურმე როგორ მოგვნატრებია...

ხარაგაულის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მუდამ იმის სწრაფვაშია, რომ სრულად გამოავლინოს მოსწავლეთა უნარ-შესაძლებლობანი. მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გახადოს მათთან მუშაობა, რათა შედეგიანი იყოს სასწავლო წლის დასასრული. შეიძლება ითქვას, რომ ეს მიზანი სრულ შესაბამისობაშია გაწეულ მუშაობასთან და წარმატებებიც არ აყოვნებს.

პედაგოგთა მიერ საინტერესო ჩანაფიქრის ხორცშესხმა დიდ სიამოვნებას ანიჭებს ყველას, ვისაც უყვარს ხელოვნება, ვისაც ახარებს ჩვენი მოზარდი თაობის წარმატებული დღე ხვალინდელი.

ცოტა ხნის წინ დიდი სიამოვნება მიიღო ხარაგაულის საზოგადოების იმ ნაწილმა, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება, დასწრებოდა შოთა ბუაჩიძის სახელობის ხარაგაულის სამუსიკო სკოლის განახლებულ დარბაზში კონცერტს, რომელმაც მონატრებული მელოდიების ჯადოსნურ საბურველში გახვია მსმენელ-მაყურებელი...

სამუსიკო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ლალი ალექსიძემ გვიამბო ამ უმშვენიერესი ჩანაფიქრის შესახებ: „მე-20 საუკუნის კინოხელოვნებამ არაჩვეულებრივი ფილმებით გაამდიდრა ადამიანთა სულიერი სამყარო. განუზომელია კომპოზიტორთა წვლილი ფილმის სიუჟეტს მისადაგებული მელოდიების შექმნაში. ჩვენი თაობა ამ სიმღერებზე გაიზარდა. ნლები გავიდა და სულ მუდამ მქონდა ნოსტალგია მუსიკის ამ სფეროს მიმართ. გადავწყვიტე, მონატრებული მელოდიები შეგვეთავაზებინა ხარაგაულელი მსმენელისათვის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა შესრულებით.

ეს იდეა მოიწონეს მასწავლებლებმა, მოიძიეს შესაბამისი სანოტო ლიტერატურა და ძალზე დიდი მონდომებით წარმართეს მუშაობა მოსწავლეებთან. მუდამ ვითვალისწინებთ იმ ფაქტორსაც, რომ ხარაგაულელი მაყურებელი არის ძალზე გემოვნებიანი, მომთხოვნი და ამავე დროს - ობიექტური.“

შეიქმნა ძალზე საინტერესო პროგრამა ქართული და საზღვარგარეთული კინოფილმებიდან: „ბაში-აჩუკი“, „ვერის უბნის მელოდიები“, „ცისფერი მთები“, „ნინო“, „აბეზარა“, „ხევისბერი გოჩა“, „იავნანამ რა ჰქმნა?“, „დათა თუთაშხია“, „სამსახურებრივი რომანი“, „კავკასიელი ტვე ქალი“, „ბრილიანტის ხელი“, „მირაჟი“, „ნათლიმამა“, „იღბლიანი ჯენტლმენები“, „მუსიკის ჰანგები“, „თეირანი-43“, „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“, „შერბურის ქოლგები“, „ქალის სურნელი“.

...და იმ დღეს ნიჭიერება ნამდვილად ზეიმობდა სამუსიკო სკოლის დარბაზში. მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით მიიტანეს მსმენელამდე მუსიკალური ნომრები: გიორგი კვირიკაშვილმა, მარიამ დუგლაძემ, ანა მეიფარიანმა, თამთა კიკნაძემ, მარიამ და ბარბარე ლურსმანაშვილებმა, მარიამ ტაბატაძემ, ელენე ტალახაძემ, თეკლა და საბა ებანოიძეებმა, ნია ფოფხაძემ, თეონა ჭიპაშვილმა, ქრისტინე ლაცაბიძემ, მარიამ კიკნაძემ, თამარ ვეფხვაძემ, სალომე კვირიკაშვილმა, კესო შარიქაძემ, ანა მაჭავარიანმა, სალომე მაჭავარიანმა, თამარ თხელიძემ, ნინო ყრუაშვილმა, თამარ კიკნაძემ.

საოცარი კონტაქტი დამყარდა მსმენელსა და მაყურებელს შორის, რამაც ნამდვილად გაამართლა ჩანაფიქრი. მონატრებულმა მელოდიებმა მსმენელი დააბრუნა მე-20 საუკუნის კინოსამყაროში და თითქოს მათ თვალწინ გაცოცხლდა ეპიზოდები. გაცოცხლდნენ მსახიობები...

ირინე ჩხეიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსი - დღეს ჩვენ დიდი სიამოვნება მოგვანიჭა ხარაგაულის ნიჭიერმა თაობამ. ეს მოსწავლეები ნამდვილად აქტიური შემოქმედებით ცხოვრობენ. დიდია პედაგოგთა ძალისხმევა. სწორედ ასეთმა თანხვედრილმა შრომამ და ინტერესმა განგვაცდევინა

ესოდენ დიდი სიხარული, დაგვატკბო მონატრებული მელოდიებით.

პაატა გოგოლაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე - ხარაგაულის სამუსიკო სკოლა ნამდვილად კარგი ტრადიციებითაა ცნობილი, მაგრამ წარსულით ტკბობა ბევრს ვერაფერს მოგვიტანს, თუ მას შედეგიანი აწმყო არ დაეშენა. ვიცით, თუ როგორი თავდადებითა და შემართებით მუშაობს ხარაგაულის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი. ისეთი უნარიანი და მოტივირებული ხელმძღვანელის მხარდამხარ, როგორიც ქალბატონი ლალი ალექსიძეა.

დღევანდელმა დღემ დიდ სიხარულს მაზიარა. თურმე როგორ მოგვნატრებია ეს მელოდიები. მადლობა ჩვენო ნიჭიერო მოსწავლეებო და პროფესიაზე შეყვარებულო პედაგოგებო, ასეთ სანეტარო მშვენიერებას რომ შეგვახვედრეთ!

მამუკა ჭიპაშვილი- ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვირათეებისა და შიგა ტურიზმის სამსახურის“ დირექტორი - საოცრად გემოვნებიანი კონცერტი ვიხილე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ხარაგაულელი ბავშვების ნიჭიერებას საზღვარი არა აქვს.

აღფრთოვანებას ვერ მალავდა ჩემი ამერიკელი სტუმარი ნეით ტრაურინგი, რომელიც მშვიდობის კორპუსის დახმარებით ორი წლის განმავლობაში მოხალისედ იმუშავებს ხარაგაულის ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრში.

დიდი მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს. ვისურვებდი ,რომ ხშირად მოეწყოს ასეთი ღონისძიებები უფრო დიდ დარბაზებში, რათა, რაც შეიძლება მეტმა ხარაგაულელმა იხილოს და დატკბეს მაღალი დონის მუსიკით.

ნიკოლოზ მაჭავარიანი - ა(ა)იპ „ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის“ დირექტორი - საოცრად სასიამოვნო და ამაღელვებელი საღამო იყო. განსაკუთრებით მომეწონა შერჩეული რეპერტუარი არაჩვეულებრივ შემსრულებლებთან ერთად. ვუსმენდი მონატრებულ მელოდიებს ჩემი საყვარელი კინოფილმებიდან და იმ ეპოქაში მეგონა თავი, რომელშიც პირველად მოვისმინე ჯერ კიდევ ახალგაზრდამ. ამ საღამომ წარსულში დამაბრუნა და ჩემი სიყრმის ტკბილი მოგონებები გამახსენა. დიდი მადლობა ქალბატონ ლალი ალექსიძეს და მის კოლექტივს.

ჩვეული მაღალი პროფესიონალიზმით შეასრულა მელოდია პედაგოგმა დალი მერაბიშვილმა კინოფილმიდან „სხვისი შვილები“.

სცენაზე სიცოცხლის კოცონი აგიზგიზდა, როცა გოგონათა სეპტეტმა პედაგოგ დარეჯან გვაძაბიასთან ერთად შეასრულა მელოდია ფილმიდან „მუსიკის ჰანგები.“

მსმენელს დიდი სიამოვნება განაცდევინა სამუსიკო სკოლის ე.წ. „კურდაუმთავრებელმა“, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სამსახურის უფროსმა გიორგი მუხურაძემ, რომელმაც ვირტუოზულად შეასრულა ნანარმოებები „ვერის უბნის მელოდიებიდან“ და „შერბურის ქოლგებიდან“. გიორგი, როგორც მოსწავლე, დიდი ნიჭიერებით გამოირჩეოდა, მაგრამ ფეხბურთი უფრო იზიდავდა. მისმა ყოფილმა მასწავლებელმა ხათუნა მაჭავარიანმა აღნიშნა: ერთხელ მეცადინეობაზე გიორგის მაგიერ დამხვდა მისი წერილი: „ხათუნა მასწავლებელო, არ მეძებოთ, რა ვქნა, ფეხბურთი მირჩევნია!“

რა თქმა უნდა, ნიჭიერებამ თავისი გაიტანა და „კურსდაუმთავრებელი“ გიორგი ამის წყალობით ხშირად ანიჭებს სიამოვნებას საკუთარ თავსაც და სხვებსაც.

კონცერტის დასასრულს რევაზ ლაღიძის „ტიალო დარიალაო“ კინოფილმიდან „ხევისბერი გოჩა“ შეასრულეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და კულტურის ცენტრის ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა.

სამუსიკო სკოლის დირექტორმა ჯილდოები გადასცა ხელოვნების აკადემიის მიერ ჩატარებულ კონკურს-ფესტივალში გამარჯვებულ მოსწავლეებს: არმაზ შავიძეს, მარიამ ტაბატაძეს, ანა მაჭავარიანს, სალომე კვირიკაშვილს, სალომე მაჭავარიანს.

მადლიერება გამოხატა პედაგოგების: დალი მერაბიშვილის, დარეჯან გვაძაბიას, ლიანა კვირიკაშვილის, თამარ ჩიმაკაძის, ხათუნა მაჭავარიანის, დარეჯან კაციტაძის, მარინა ოკრიბელაშვილის მიმართ.

ხაზი გაუსვა ბატონ ზურაბ ვასაძის დიდ დამსახურებას, რომ იგი გულისხმიერებით, თავდადებით, დიდი სიყვარულითა და მაღალი პროფესიონალიზმით არის ჩართული სამუსიკო სკოლის სისხლსავსე ცხოვრებაში.

- მადლობა ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობას, რომლის თანადგომითაც ადვილად გვიგვარდება ყოველი პრობლემა და გვექმნება პირობები უკეთესი მუშაობისათვის - აღნიშნა ქალბატონმა ლალი ალექსიძემ.

მომხიბლავად უძღვებოდა საღამოს თამარ თხელიძე.

დაე, კვლავ უამრავმა წარმატებამ დაისადგუროს სამუსიკო სკოლის უმშვენიერეს კერაზე ნიჭიერო მოსწავლეებო და ამაგდარო პედაგოგებო!

P.S. აღნიშნული კონცერტის ღამეს თბილისში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა გულთან მიიტანეს და განიცადეს ამ უბედურებით გამოწვეული ყველა ტკივილი. შესაძლებლობის შესატყვისად არაფერი დაიშურეს და რაიონის საზოგადოებასთან ერთად გარკვეული წვლილი შეიტანეს ჰუმანიტარულ აქციაში.

მერი გიორგიძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲗ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲐ

13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად გამო 110 ოჯახი დაზარალდა. 200-ზე მეტი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. კატასტროფული წყალდიდობის შედეგად დედაქალაქს 100 მილიონზე მეტი ზარალი მიადგა. დაზარალებულთა დასახმარებლად საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყო პრევენციული ღონისძიებების გატარება. გაიხსნა საბანკო ანგარიშები, რომლებზედაც ამჟამადაც მიმდინარეობს თანხების გადარიცხვა და დღესდღეობით საკმაოდ სოლიდური თანხაა დარიცხული. რეგიონებში ასევე დაიწყო ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვება. სოლიდარობის აქციაში ხარაგაულიც აქტიურად ჩაერთო. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრში“ ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა პირველადი მოხმარების ნივთების, ჰიგიენური საშუალებებისა და არამალფუჭებადი პროდუქტის შეგროვება. ხარაგაულიდან სტიქიით დაზარალებულთათვის ტვირთი ორი მიკროავტობუსით გაიგზავნა.

აქციაში მონაწილეობა შემდეგმა ორგანიზაციებმა მიიღეს:

- ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ ;
- ა(ა)იპ „ნინო სახვაძის სახელობის მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლი“ ;
- ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი“ ;

- ა(ა)იპ ,,შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“ ;
- ა(ა)იპ „ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ ;
- ა(ა)იპ „ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა“ ;
- ა(ა)იპ „ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი“ ;
- ა(ა)იპ „კეთილმოწყობის სამსახური“ ;
- ა(ა)იპ ,,სათნოების სახლი„;
- ა(ა)იპ ,,კულტურის ცენტრი;
- ა(ა)იპ ,,რეზო თაბულაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი“
- გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური;
- გამგეობის სოციალური სამსახური;
- ხარაგაულის სოციალური მომსახურების სააგენტო;
- კიცხის ადმინისტრაციული ერთეული;
- ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეული;
- დაბის N2 საჯარო სკოლა;
- ბაზალეთის საჯარო სკოლა;
- ბორის სკოლა-პანსიონი;
- საღანძლის საჯარო სკოლა;
- კიცხის საჯარო სკოლა;
- ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა;
- წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის კურსდამთავრებულები;
- ვარძიის საბავშვო ბაღი;

აქციაში ჩაერთნენ კერძო პირებიც: რუსუდან კუპრაძე; მაკა შველიძე; დავით გაჩეჩილაძე.

ფულადი დახმარება გაიღეს:

ხევის ადმინისტრაციული ერთეული;
ნადაბურის ადმინისტრაციული ერთეული;
ნადაბურის საჯარო სკოლა;
უბისის საჯარო სკოლა;
დაბის N3 საჯარო სკოლა;
მარელისი საჯარო სკოლა;
ვახანის საჯარო სკოლა;
ხევის საჯარო სკოლა;
ლაშის საჯარო სკოლა;
ხუნევის საჯარო სკოლა;
ბორითის საჯარო სკოლა;
ლეღვნის საჯარო სკოლა;
ხიდრის საჯარო სკოლა;
ვარძიის საჯარო სკოლა;
ვაშლევის საჯარო სკოლა;
სარგვეშის საჯარო სკოლა;
ღორეშის საჯარო სკოლა;
წიფის საჯარო სკოლა;
მოლითის საჯარო სკოლა;
ზვარის საჯრო სკოლა.

დაბაში მცხოვრები გურამ სახვაძე;

მადლობა ყველა იმ ადამიანს,რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩვენი მოსახლეობის ტკივილი და შეძლებისდაგვარად გაიღეს დახმარება.

ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

დალოცვილი იყოს!

2015 წელი, 24 ივნისი.

ეს დღე უქრობ შუქურად აღიბეჭდება ხარაგაულის კულტურული და ინტელექტუალური ყოფის მატიანეში. ამ დღეს ხარაგაულს, თავის სათაყვანებელ „ადგილის დედას“ სამარადჟამოდ „დაუბრუნდა“ დიდი მამულიშვილი, დიდი ქართველი, რეზო თაბუკაშვილი.

ამ მიწის მადლით დააბიჯებდა იგი იტალიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ესპანეთში, არგენტინაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა უამრავ ქვეყანაში, რომ მოეძიებინა, გამოეკვლია და საქართველოსათვის, შთამომავლობისათვის დაებრუნებინა ქართული ნიჭით ნასაზრდოები ყოველი საუნჯე... ამ მიწის მადლით უჭირისუფლა: მიხეილ თამარაშვილს, ფორე მოსულიშვილს, ტექსელის ტრაგედიის გმირებს, სუ-ალტოს მწვერვალზე დაღუპულ მიხეილ ხერგიანს...

***

უჩვეულო ხალხმრავლობა იყო ამ დღეს ხარაგაულის კინოთეატრის წინ. თითოეული მათგანი ამაღელვებელი წუთების მონაწილე გახდა. რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის სახალხო ლიტერატურულ თეატრს საიუბილეო თარიღი - 20 წელი შეუსრულდა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის კობა ლურსმანაშვილისა და თეატრის დამაარსებელ იზა ვეფხვაძის ინიციატივით აქ გამოჩენილი კინოდოკუმენტალისტისა და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწის რეზო თაბუკაშვილის ბიუსტი უნდა გაიხსნას. წითელი ლენტი რეზო თაბუკაშვილის ვაჟმა ლაშა თაბუკაშვილმა და მოქანდაკე გიორგი კიკვაძემ გაჭრეს. იმერეთის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ და ბიუსტის ავტორმა გიორგი კიკვაძემ რეზო თაბუკაშვილის უკვდავ სახეს საბურველი ჩამოხსნეს.

ეს ულამაზესი დღე გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა მიულოცა დამსწრე საზოგადოებას, ხაზი გაუსვა რეზო თაბუკაშვილის ღვაწლს, ხოლო ლაშა თაბუკაშვილმა კი დიდი მადლიერება გამოხატა, მისი მამის მიმართ ასეთი პატივგების გამო.

ემოციებს ვერ ვუმკლავდებოდი და მინდა, ხარაგაულელთა მადლიერებას შევუერთო ჩემი განწყობაც. რასაკვირველია, სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ბიუსტის ავტორის, გიორგი კიკვაძის, უმშვენიერეს ფიზიკურ აღნაგობას განსაკუთრებულ ხიბლს ჰმატებდა ეროვნული ქართული სამოსი. თუ აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ბიუსტთან დაკავშირებული საპასუხისმგებლო სამუშაო მოქანდაკემ უანგაროდ შეასრულა, სრული უფლება გვაქვს ვთქვათ - ჭეშმარიტი ქართველი რაინდის, რეზო თაბუკაშვილის, სული სწორედ ასეთ ქართველს უნდა გაეცოცხლებინა.

მადლობა თქვენ, ბატონო კობა, ქალბატონო ინგა, ქალბატონო იზა, ბატონო გიორგი, ჩემო ხარაგაულო და ხარაგაულელებო, რომ კინოთეატრის წინ მდებარე მიწის ეს პატარა მონაკვეთი სიწმინდედ აქციეთ ხარაგაულის მომავლისათვის. აი, სად უნდა მოვიყვანოთ ამიერიდან ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდები პატრიოტული სულის გასაძლიერებლად სად უნდა გადავცეთ მათ სწავლითა და შრომით მოპოვებული ჯილდო-სიგელები, სად უნდა დავადებინოთ ფიცი, რომ გაიზრდებიან ნაღდ ქართველებად, რომ მათ ამ გზაზე ამიერიდან ღუდუმექეთის მიწაზე შობილი დიდი ქართული სული წარუძღვება მომავლისაკენ.

დიდება და მშვიდობა ამ წმინდა სულს!

***

და რაღაც გამოუცნობი ღვთიური ხილვით აღვიქვი, რომ მოქანდაკე გიორგი კიკვაძის ნიჭითა და მადლიანი მარჯვენით ბრინჯაოში გაცოცხლებულმა დიდმა რეზო თაბუკაშვილმა წამიერად დატოვა კვარცხლბეკი და განახლებული კინოთეატრის დარბაზში იმერული სტუმარმასპინძლობის ჩვეული ადათითა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი ხმის ტემბრით შეუძღვა ინტელექტუალურ მემკვიდრეს, მისი ცხოვრების ერთ-ერთ უკვდავმყოფელს, მისივე სახელობის ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელს, რეჟისორსა და მსახიობს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, საგანგებოდ ამ დღისათვის ხარაგაულში ჩამობრძანებულ საპატიო სტუმრებს: ჭიათურა-საჩხერის ეპარქიის მეუფე დანიელს, უბისა-მარგვეთის ეპარქიის მეუფე მელქისედეკს სასულიერო პირებთან ერთად, იმერეთის გუბერნატორ გივი ჭიჭინაძეს, მის მოადგილე პა-

ატა ნადირაძეს, იმერეთის მხარის გამგებლებს, მწერლებს: გურამ დოჩანაშვილს, რეზო ჭეიშვილს, გიზო თავაძეს, „საქართველოს ჰიმნის“ ავტორს, პოეტ დავით მაღრაძეს, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრს, პოეტ თემურ ჩალაბაშვილს, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე დავით შემოქმედელს, სპორტულ კომენტატორსა და რადიო „ჯაკოს“ დამფუძნებელ ჯამლეტ ხუხაშვილს, კინორეჟისორებს: ელდარ შენგელაიას, გიორგი ჭუბაბრიას, გოგა ოსეფაშვილს, დიზაინერ მაქს შავიტს, პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს, „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელ ჯემალ ჭკუასელს, ჩოხოსანთა დასის წევრებს: მხატვარ ილია პატაშურს, ჟურნალისტ ანზორ ბაბუხადიას, არქიტექტორსა და ქველმოქმედს, პაატა იოსეფს, ყოფილ სახელმწიფო მინისტრს, ვაჟა ლორთქიფანიძეს, აკადემია „სახალხო დიპლომატიის“ პრეზიდენტ ნინო ანდრონიკაშვილს, კლუბ „26 საუკუნის“ პრეზიდენტს, პროფესორ ზაირა დავარაშვილს, სუხიშვილების ლეგენდარული ანსამბლის ყოფილ სოლისტს, თენგიზ ურთმელიძეს, ცნობილ ქორეოგრაფ ომარ მხეიძეს, „ერისიონის“ გენერალურ მენეჯერს, ოთარ ბლუაშვილს, თბილისის დიდუბის რაიონის გამგებლის მოადგილე რამაზ ბლუაშვილს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის „პიონერფილმის“ სტუდიის ხელმძღვანელ გრიგოლ ჩიგოგიძეს, ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილე თამაზ ტყემალაძეს, „პიკის საათის“ წამყვან ეკა ტალახაძეს, „არტ-გენის“ ერთ-ერთ დამფუძნებელ გია კუბლაშვილს, ტელეკომპანია „რიონის“ გენერალურ დირექტორ თამარ ღვინიანიძეს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროს გოჩა გიორგიძეს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროს მაია ტყემალაძეს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების წამყვანს, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ ივანე ჯაფარიძეს, პროფესორ ეთერ თოფჩიშვილს, არქეოლოგ ჯუმბერ

კაშვილებს, ნათესავებსა და მეგობრებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაღალი სულიერი კულტურის მატარებელ ხარაგაულის საზოგადოებას...

***

მაღალი გემოვნებით გაფორმებულ სცენას ამშვენებს საიუბილეო თარიღი - 20. დარბაზში ყოველ სკამზე მაყურებელს ხვდება გაზეთი „კვალი“ - მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული სპეციალური საიუბილეო გამოცემა, რეზო თაბუკაშვილის ის უმშვენიერესი ლექსი 1990 წლის პირველ აგვისტოს, გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე, ანდერძად რომ დაუტოვა შვილიშვილებს და, შეიძლება ითქვას, რომ მასში ჩაქსოვილი სიბრძნე ყველა ქართველი ახალგაზრდის მომავლის ორიენტირია.

***

საიუბილეო საღამო ჩვეული ოსტატობით მიჰყავდა მწერალ გიზო თავაძეს.

ვიდეოკოლაჟით მაყურებლის თვალწინ გაცოცხლდა თეატრის შემოქმედებითი ყოფის შთამბეჭდავი სურათები...

„პიონერფილმის“ სტუდიის ხელმძღვანელ გრიგოლ ჩიგოგიძის მიერ სიურპრიზად მომზადებული კლიპით ცნობილი ადამიანები ლიტერატურულ თეატრსა და მის ხელმძღვანელს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, ულოცავენ საიუბილეო თარიღს. შემდეგ კი ქალბატონ იზა ვეფხვაძის 53 მონოსპექტაკლიდან სპეციალურად ამ დღისათვის შერჩეული სპექტაკლით „მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები“, რომლის შინაარსსაც რეზო თაბუკაშვილისა და ღვთაებრივი სილამაზით დალჯიდოებული მედეა ჯაფარიძის ამაღლებული ცხოვრება განსაზღვრავს, ქალბატონმა იზამ კვლავ დაგვისურათა იმ უკიდეგანო ნიჭიერებით, რომელიც ზენაარს მისთვის მიუმადლებია.

ამ მშვენიერებასთან შეხვედრით მიღებული სიამოვნება სპექტაკლის შემდეგ გულწრფელი აღტაცებით გამოხატეს: ივანე ჯაფარიძემ, მაქს შავიტმა, ილია პატაშურმა, ანზორ ბაბუხადიამ, ჯამლეტ ხუხაშვილმა, დავით შემოქმედელმა, ელდარ შენგელაიამ, მაია კვეზერელმა, იმერეთის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ, ხარაგაულის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძემ. გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა: „ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა, რომ დავაფასოთ ღვაწლი დიდი მამულიშვილისა. მადლობელი ვარ, რომ რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამფუძნებელმა, ნიჭიერმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, დღეს, საიუბილეო საღამოზე, ასეთი მაღალი ხელოვნებით წარმოგვიდგინა რეზო თაბუკაშვილის პატრიოტული ღვაწლი. ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლება სახავს გეგმას, რომ სოფელ ღუდუმექეთში გაიხსნას ამ დიდი პიროვნების სახლ-მუზეუმი.“

იზა ვეფხვაძემ მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, ხარაგაულის საზოგადოებას, ანსამბლ „უბისს“, ხაზი გაუსვა თეატრის წარმატებებში ტექნიკური მენეჯერის ივანე ჭიპაშვილისა და სპექტაკლების მუსიკალურ გამფორმებელ დალი მერაბიშვილის დიდ დამსახურებას, შემდეგ კი თეატრის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელებით დააჯილდოვა სახალხო ლიტერატურული თეატრის ათი მეგობარი. საიუბილეო საღამო დასრულდა თეატრის მუსიკალურ გამფორმებელ დალი მერაბიშვილის ტექსტითა და მუსიკით შექმნილ ლიტერატურულ კონკურს „ოდეონის“ ჰიმნის პრემიერით.

***

და კვლავ გრძელდება ლიტერატურული თეატრისა და მისი ხელმძღვანელის მისამართით ინტერნეტით მოლოცვები ისრაელიდან, საბერძნეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ლონდონიდან...

იუბილეს მეორე დღეს ინტერნეტში პაატა იოსეფის ასეთი წერილი დაიდო: „ვუსმენ და ვერ ვიჯერებ. ერთი საათი, ორი საათი...

მოჯადოებული ვარ და ვოცნებობ, რომ ეს საოცრება არ დამთავრდეს და გულში ვამბობ: გმადლობთ, ღმერთო, რომ ამ საოცრებისათვის მაყურებინებ და მასმენინებ.

მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში დავდივარ და ვუყურებ სპექტაკლებს, მსგავსი რამ არასოდეს მიგრძვნია...

ეს თითქოს მზის სხივი იყო, მოფარფატე ფოთოლი, რომელსაც თურმე ნიავი დააფრენს საქართველოში სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში და ყველგან სიყვარული, სიკეთე და სინათლე მიაქვს.

მიყვარხარ, ჩემო გამზრდელო საქართველო, ასეთ ნიჭიერ ადამიანებს, ასეთ სასწაულებს რომ ზრდი!

ქედს ვიხრი საქართველოს წინაშე!“

ზაირა დავარაშვილი: „არ შემიძლია, ენით გამოვთქვა აღფრთოვანება, სიხარული და გაოცება. ეს იყო სასწაული, ზეიმი, ნამდვილი დღესასწაული. დარბაზი გაოგნებული იყო, ემოციებს ვერ მალავდა. უკვე მერამდენე სპექტაკლს ვუყურებ იზა ვეფხვაძისას...

თვალწინ მიდგას თბილისის დარბაზებში ფეხზე წამომდგარი გაოგნებული საზოგადოება ერთხმად რომ აღნიშნავდა: ეს რა საოცრება ხდება!

ხარაგაულში ამ დაუჯერებელი სასწაულის კიდევ ერთი სპექტაკლი ვიხილეთ...“

პოლიტოლოგმა სოსო ცისკარიშვილმა ქალბატონ იზას საკუთარი წიგნი „ევროპეიზაციის მოლოდინში“ უსახსოვრა ასეთი წარწერით: „ქართული ნიჭის აკადემიის პრეზიდენტს, გამაოგნებელ იზა ვეფხვაძეს - აღტაცებითა და საოცარი სურვილებით.“

***

დასაწერი კვლავ ბევრია...

სამწუხაროდ, ერთი საგაზეთო სტატია ამ სურვილს ვერ დაიტევს. ლიტერატურული თეატრისა და ქალბატონ იზას მიმართ ხარაგაულელთა მადლიერება მინდა, გამოვხატო ბატონ ვალერი გოგნაძის უმშვენიერესი პოეტური სტრიქონებით:

„სიტყვას, მოხმობილს
საგანძურიდან,
მოვარაყებულს ოსტატის ენით,
გრძნობებს, წამოსულს
წრფელი გულიდან -
სულმოუთქმელად კვლავ
მრავალს ველით.

მამულს ალივით სწრაფად ედება
ჯადო-ნათელი, როგორც
ცისკარი,
დალოცვილ იყოს შემოქმედება,
კვალი შთენილი - დაუვიწყარი“.

ჭეშმარიტად!

მერი გიორგიძე

ახალგაზრდული საკრებულოს ინიციატივით საქველმოქმედო ღონისძიება ჩატარდა

28 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს ინიციატივით, ხარაგაულის კინოთეატრში, 13 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად საქველმოქმედო ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიებაში ხარაგაულის ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „კახორი“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „საუნჯე“, კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „უბისი“, ბორის სკოლა-პანსიონის ფოლკლორული ანსამბლი „მთიები“, მომღერლები სალომე კვირიკაშვილი, დები თიკო და თათული ლურსმანაშვილები, თიკო ჯანიაშვილი და ნია ბერაძე მონაწილეობდნენ. აქცია-კონცერტის ფარგლებში, კინოთეატრის შესასვლელში, ხარაგაულელი ახალგაზრდების ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ახალგაზრდული საკრებულოს წევრებს სპეციალურად ამ დღისთვის მაისურები დაუმზადეს და საჩუქრად გადასცეს. დარბაზი გაივსო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხარაგაულელები გულღიად და უშურველად ეხმარებიან სტიქიით დაზარალებულთა ოჯახებს, საქველმოქმედო კონცერტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, მოადგილე თემურ ჩხეიძე და სხვა თანამდებობის პირები ესწრებოდნენ. ახალგაზრდული საკრებულოს დასავლეთ საქართველოს მენეჯერმა გიორგი მღვდელაძემ აღნიშნა, „ახალგაზრდული საკრებულო თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში შეიკრიბა, მაგრამ ასეთი ღონისძიების ჩატარების ინიციატივა არავის გამოუხატავს. ხარაგაული ამ კუთხით გამოირჩევა და ეს ორმაგად სასიამოვნოა. წარმატებებს ვუსურვებ ამ ახალგაზრდებს“. საქველმოქმედო ღონისძიებიდან შემოსული თანხით ახალგაზრდული საკრებულოს წევრებმა არამალფუჭებადი საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები შეიძინეს და 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად (გამგეობის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით) თბილისში ჩაიტანეს. ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე, ნანა ჭიპაშვილი მადლობას უხდის ყველას, ვინც ამ კონცერტის ჩატარებაში შეიტანა წვლილი: „მადლობა მუნიციპალიტეტის გამგეობას, კულტურის სახლს და საგანმანათლებლო რესურსცენტრს გვერდში დგომისთვის. მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს საქველმოქმედო ღონისძიების ჩატარებაში, მადლობა თითოეულ მონაწილეს, რომ არა ისინი, ეს კონცერტი ასეთი კარგი ვერ გამოვიდოდა“ - განაცხადა ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარემ ნანა ჭიპაშვილმა ჩვენთან საუბარში.

თეა ბერიძე
მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

ლეღვნის საბავშვო ბაღში პირველი გაძღესაშვები საღამო გაიმართა

25 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვნის საბავშვო ბაღში გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა. ღონისძებას სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლები, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე, დეპუტატი ჯამბულ გამცემლიძე, სკოლის პედაგოგები და მშობლები ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ლეღვანში საბავშვო ბაღი წელს პირველად გაიხსნა. როგორც ყველა ახლადგახსნილი ბაღი, ისიც 25 ბავშვზეა გათვლილი და მასში ამ ეტაპზე 23 აღსაზრდელია. წელს ლეღვნის საბავშვო ბაღი სამმა აღსაზრდელმა დაამთავრა, სექტემბერში კი ბაღს შვიდი ბავშვი დაემატება.

ღონისძიებაზე აღსაზრდელები მაყურებელთა წინაშე ლექსებით, სიმღერებით და ცეკვებით იწონებდნენ თავს. ზეიმის დასასრულს სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანებიდან აღსაზრდელებმა სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს. საკრებულოს თავმჯდომარემ კი პატარებს ტკბილეული უსახსოვრა.

თამარ ტაბატაძე - ლეღვნის საბავშვო ბაღის გამგე:

„დღევანდელი ღონისძიება, რომ შედგა ეს პედაგოგებისა და ბავშვების დაუღალავი შრომის ნაყოფია. მადლობა მინდა გადავუხადო სკოლამდელი გაერთიანების დაწესებულებას მხარდაჭერისა და თანადგომისთვის. ასევე მადლობა მშობლებს, რომლებიც გვერდში გვედგნენ და მუხლჩაუხრელად შრომობდნენ ჩვენთან ერთად. წარმატებებს ვუსურვებ აღსაზრდელებს და მათ სკოლისაკენ მიმავალ გზას დავულოცავ.“

ინგა მაღრაძე – საკრებულოს თავმჯდომარე:

„გილოცავთ ბავშვებო საბავშვო ბაღის დამთავრებას. თქვენ გადახვედით ცხოვრების ახალ ეტაპზე და გისურვებთ სკოლისაკენ მიმავალ გზაზე დაუბრკოლებლად გევლოთ. მადლობა საბავშვო ბაღის გამგეს, თამარ ტაბატაძესა და მის თანამშრომლებს. რომ არა თქვენი ერთობლივი, დაუღალავი შრომა, დღევანდელი ღონისძიება არ შედგებოდა.“

ლალი ვეფხვაძე – ლეღვნის საბავშვო ბაღის პედაგოგი:

„ლეღვნის საბავშვო ბაღისთვის დღევანდელი გამოშვება პირველია. ბავშვებიც და პედაგოგებიც ვნერვიულობდით, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მადლობა ყველას თანადგომისთვის. მადლობა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას და მის დირექტორს ირმა სებისკვერაძეს. ისინი საბავშვო ბაღის გახსნის დღიდან გვერდში გვიდგანან და სტიმულს გვაძლევენ. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ლეღვნის საბავშვო ბაღი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ერთ-ერთი წარმატებული ბაღი იქნება.“

სკოლამდელი გაერთიანების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ლეღვნის საბავშვო ბაღის გამგესა და თანამშრომლებს, დაუღალავი შრომისა და არაჩვეულებრივი ღონისძიების ჩატარებისთვის.

თამარ მაღრაძე

ზესტაფონი რიკოთის უღელტეხილს, შესაძლოა, ახალი ჩქაროსნული მაგისტრალით დაუკავშირდეს

ზესტაფონის რაიონი რიკოთის უღელტეხილს, შესაძლოა, ახალი ჩქაროსნული მაგისტრალით დაუკავშირდეს. მზად არის პროექტი, რისთვისაც ახლა მთავრობა დაფინანსების წყაროებს ეძებს. თუმცა, ავტობანის გაყვანასთან ერთად, გეგმა არსებული საგზაო მონაკვეთის შენარჩუნებასაც გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში, ახლად გაყვანილი მაგისტრალით სარგებლობა, სავარაუდოდ, ფასიანი იქნება, თუმცა, არა ყველასთვის. ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის რიკოთი-არგვეთას მონაკვეთი ფასიანი შეიძლება იყოს იმ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ალტერნატიული გზები. ,,თქვენ იცით, რომ როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ისე დასავლეთ საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს გზების მშენებლობა და ამ ყველაზე რთულ მონაკვეთზე არის სერიოზული პრობლემები. ამიტომ განიხილება რამდენიმე ვარიანტი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გზა მნიშვნელოვნად შეამოკლებს როგორც მანძილს ხაშურსა და ზესტაფონს შორის, ასევე დროს. ამავე დროს, განიხილება სხვადასხვა ვარიანტი. მათ შორის, ვარიანტი იმის შესახებ, რომ გზა შეიძლება იყოს ფასიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ალტერნატიული გზები. სხვა შემთხვევაში ეს ვარიანტი არ განიხილება. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ როგორც მიღებულია მსოფლიოში, ფასიანი შეიძლება იყოს გზის მონაკვეთი, თუ მას გააჩნია შესაბამისი ალტერნატივები", - აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

მისივე თქმით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა ჩუმათელეთი-ხარაგაულის გზის მონაკვეთის მშენებლობა-რეაბილიტაცია უნდა მოხდეს და ამავე დროს დარჩეს ძველი გზა, რომელიც ასევე იქნება სათანადო დონეზე აღჭურვილი.

ხარაგაულს 7 ოქროს და 10 ვერცხლის მედალოსანი ჰყავს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში წელს ბოლო ზარი 20 საჯარო სკოლაში დაირეკა. მიმდინარე სასწავლო წელი სულ 234 მოსწავლემ დაამთავრა. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთაგან 17 მედალოსანია. აქედან შვიდი ოქროს, ხოლო ათი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

მარიამ თხელიძე (დაბის N3 საჯარო სკოლა); ნოდარ ხიჯაკაძე (ვარძიის საჯარო სკოლა); მარიამ ხიჯაკაძე (ბორის საჯარო სკოლა); მაია გვრიტაძე (კიცხის საჯარო სკოლა); ანა დეკანოსიძე (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია); შალვა აბაშიძე (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია); მარიამ მიქაბერიძე (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია); ეს იმ კურსდამთავრებულთა შემადგენლობაა, რომლებმაც საუკეთესო შეფასებიდან გამომდინარე ოქროს მედლები დაიმსახურეს.

რაც შეეხება ვერცხლის მედალოსნებს, მათი შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება: ანა მდინარაძე (კიცხის საჯარო სკოლა); გიორგი ტაბატაძე (კიცხის საჯარო სკოლა); ლელა შავიძე (კიცხის საჯარო სკოლა); ფოთოლა ბერაძე (ხიდრის საჯარო სკოლა); დოდო ჩაჩანიძე (ხიდრის საჯარო სკოლა); ალიკა კურტანიძე (ხევის საჯარო სკოლა); ჯაბა ხაჩიძე (ხევის საჯარო სკოლა); ანა თავზარაშვილი (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია); თამარ ჩხიკვაძე (წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია). კურსდამთავრებულებს, მედლები უახლოეს მომავალში გადაეცემათ.

თამარ მაღრაძე

ვულოცავთ ხარაგაულის ერთ-ერთ ღირსეულ პიროვნებას, **ნუგზარ ლომსაძეს**, საიუბილეო თარიღს - შინაარსიანად გატარებული ცხოვრების 70 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას საყვარელ ოჯახთან და შთამომავლობასთან ერთად. მუდამ უწინამძღვროს უფლის მადლმა.

სიყვარულით, წერეთლის ქუჩა N27-ის მეზობლები: ლიანა თარგამაძე, მერი გიორგიძე, დავით კიკნაძე, ზურაბ კურტანიძე, კახა მაღლაფერიძე, გელა ცხოვრებაძე, ზურაბ გურგენიძე.

გამომცემელი ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12